



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების

კატალოგი

საკონტაქტო ინფორმაცია

დასახელება	ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
სახე	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
მისამართი	4400 ფოთი, გურიის ქ. 1
რექტორი	მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), პროფესორი, დოქტორი
საკონტაქტო ინფორმაცია	(+995) 577 42 22 22; newgeorgianuniversity@gmail.com ; http://ngu.edu.ge

ტელეფონი / ელ-ფოსტა / ვებ-გვერდი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია

ფაკულტეტის დეკანი	პროფ. მიხეილ გოგატიშვილი	ტელეფონი: 593582285 ელ.-ფოსტა: gogatisvili@yahoo.com
ფაკულტეტის დეკანის ასისტენტი	ინგა ალანია	ტელეფონი: 599429021 ელ.-ფოსტა: gu.ialania@gmail.com

სარჩევი:

I.	უნივერსიტეტის მისია	-	4
II.	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების შესახებ		
	➤ სამაგისტრო პროგრამები:		
	- ქრისტიანული ფილოსოფია	-	6
	- ქრისტიანული ფსიქოლოგია	-	12
	➤ სადოქტორო პროგრამები:		
	- ქრისტიანული ფილოსოფია	-	19

I. უნივერსიტეტის მისია

უნივერსიტეტის მისია არის საზოგადოების ინტელექტუალური პროგრესისა და მეცნიერების ხელშეწყობა, ასევე, განსაკუთრებით, ქრისტიანული საღვთისმეტყველო მეცნიერებების (ქრისტიანული ფილოსოფია, ქრისტიანული ფსიქოლოგია, პოლიტიკური თეოლოგია და ა.შ.) რთული და კომპლექსური სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

II. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა
და კვალიფიკაციების შესახებ

სამაგისტრო

პროგრამები

ქრისტიანული ფილოსოფია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:

- ფილოსოფიის მაგისტრი / Master of Philosophy 0223

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- 120 (ECTS) კრედიტი, (1 კრედიტი = 25 საათს).

პროგრამის ხანგრძლივობა:

- 2 აკადემიური წელი (4 აკადემიური სემესტრი). ერთი აკადემიური სემესტრი მოიცავს 19 კვირას (აქედან: 15 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს და შუალედურ შეფასებებს, 4 კვირა - დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მომზადებასა და ჩაბარებას).

სწავლების ენა:

- ქართული

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მომზადდეს სპეციალისტი ქრისტიანული ფილოსოფიის დარგში, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები ქრისტიანულ ფილოსოფიაში.
- მომზადდეს ქრისტიანული ფილოსოფიის სპეციალისტი, რომელიც წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გაწერილი და გათვალისწინებული თემატიკის ღრმა და სისტემური ათვისების საფუძველზე შეძლებს, რომ განავითაროს და დახვეწის ქრისტიანული ფილოსოფიის საფუძველმდებარე ტექსტები, პროდუქტიული ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზით აჩვენოს მათი როლი თანამედროვე ფილოსოფიასა და თეოლოგიაში მიმდინარე აქტუალურ დისკუსიებსა და დებატებში.
- მომზადდეს ქრისტიანული ფილოსოფიის სპეციალისტი, რომელიც ფლობს ფართო და დეტალურ ცოდნას ქრისტიანული ფილოსოფიის კლასიკური ავტორების, ეკლესიის მამათა მდიდარი ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებ; მან უნდა შეძლოს ამ სააზროვნო მემკვიდრეობის როგორც დარგობრივი, ასევე, ინტერდისციპლინარული ცოდნის ჭრილში გამოყენება და რეაქტუალიზება თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- 1.1. კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ქრისტიანულ ფილოსოფიაში. მან სიღრმისეულად იცის დარგში შემუშავებული თეორიული და კვლევითი მიდგომები და ამ დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები.
- 1.2. კურსდამთავრებულს აქვს ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო მეცნიერულ-სისტემური ხედვა, რაც მას შესაძლებლობას აძლევს მოახდინოს ადეკვატური ორიენტაცია თანამედროვეობის აქტუალური ფილოსოფიურ-ეთიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში.

2. უნარი:

- 2.1. კურსდამთავრებულს შეუძლია სხვადასხვა ტიპის წყაროებისა და ტექსტების კრიტიკული ანალიზი და სინთეზი. მას შეუძლია იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ახლებური კვლევითი გზები და ანალიზური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული.
- 2.2. კურსდამთავრებულს შეუძლია კრიტიკულად გააანალიზოს და შეაფასოს როგორც თავისი, ასევე, სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შეძენილი და დააგროვილი ცოდნის რევიზია და კვალიფიციურად მოამზადოს დარგის ცალკეული დისციპლინების სასწავლო-მეთოდური მასალები.
- 2.3. კურსდამთავრებულს შეუძლია იმ ტიპის სამეცნიერო ტექსტების/ნაშრომების შექმნა, რომლებიც დაეფუძნება დარგობრივი მახასიათებლების სპეციფიკას და მოცემული დარგის შესაბამისი ფორმალური სტანდარტების გათვალისწინებით, მოახდენს აკადემიური საქმიანობის წარმართვას; აქედან გამომდინარე, მას შეუძლია - ადეკვატური ენობრივ-ლექსიკური სტილის მოხმობით - ალტერნატიული პოზიციების ადეკვატურად შეფასება-განხილვა და არგუმენტირებული სახით მათი გათვალისწინება ან უკუგდება.
- 2.4. კურსდამთავრებულს შეუძლია, ფართო საზოგადოებისა და პროფესიული აუდიტორიის წინაშე, ზეპირი და წერილობითი ფორმით (მშობლიურ და უცხოურ ენებზე) ეფექტური კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც მას შესაძლებლობა ექნება, რომ საკუთარი მოსაზრებები და არგუმენტები თანამედროვე მეცნიერული დისკურსის შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნიკოგიების გამოყენებით წარმოადგინოს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- 3.1. კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად გააცნობიეროს მის წინაშე არსებული თეორიული და პრაქტიკული გამოწვევები, განსაზღვროს მათი თავისებურებები და სპეციფიკა, აიღოს შესაბამისი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და თავად დაგეგმოს ამ პრობლემათა და გამოწვევათა ეფექტური გადაჭრა-გადაწყვეტის გეგმები და სტრატეგიები.
- 3.2. კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების მოხმობითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; აქედან გამომდინარე, მას შეუძლია წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან.
- 3.3. კურსდამთავრებულს შეუძლია ადეკვატურად შეფასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება ქრისტიანული აზროვნების საფუძველმდებარე ღირებულებების მიმართ და თავადაც მიიღოს აქტიური მონაწილეობა ქრისტიანული ღირებულებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრების საქმეში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ორ ფორმად - შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი წილი. შუალედური შეფასების მეთოდებს (პრობლემებზე დაფუძნებული დისკუსია, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.), აგრეთვე, თავისი წილი აქვთ ამ ფორმის ფარგლებში.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი შეფასების ფორმა, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის სილაბუსით.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის

მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადგებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაიწიშება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ სამაგისტრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე, პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 60 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);

ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას);

ბ.გ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები);

ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახატები);

ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს);

ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (წარმოდგნილი უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).

ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთიოთს:

ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით),

გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;

ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;

ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.გ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიეთითოს გვერდის ბოლოს სქოლიოების (Footnotes) სახით.

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა (საჭიროების შემთხვევაში - დანართი).

სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ყავს ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა მაგისტრანტს შეუძლია მხოლოდ 60 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-3 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტების) დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში; სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ამზადებს დასკვნას დადგენილ სტანდარტებთან ნაშრომის შესაბამისობის შესახებ. 2 კვირის ვადაში.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმით აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის საბჭოს სხდომაზე.

სამაგისტრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

- ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 15 ქულა;
- ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი - 10 ქულა;
- დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 15 ქულა;
- ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.
- ვ) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება - 10 ქულა;
- ზ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;
- თ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;

ი) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ კომისიის საბჭოს მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩატვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და სამაგისტრო ნაშრომი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ კომისიის საბჭოს წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

პროგრამის სტრუქტურა

რიგითი ნომერი	სასწავლო კურსები/ მოდულები	სტუდენტი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					
				საკონტაქტო საათები	სამუშაო / სამუშაო აქტუალური შეცვალა	შუალედური შეცვალა	დასკვნითი შეცვალა	დამოუკიდებელი მუშაობა	
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 100 კრედიტი									
1.	სისტემური კურსი ქრისტიანულ ფილოსოფიაში	I	5	14	12	4	2	93	125
2.	შუა საუკუნეების ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები	I	5	14	12	4	2	93	125
3.	ნატურალიზმი და ქრისტიანული აზროვნება	I	5	14	12	4	2	93	125
4.	რელიგიის ფილოსოფია	I	5	14	12	4	2	93	125
5.	ქრისტიანული ჰერმენევტიკა	I	5	14	12	4	2	93	125
6.	მეცნიერული პროცედურული და მეთოდიკა	I	5	14	12	4	2	93	125
7.	შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია	II	5	14	12	4	2	93	125
8.	ნეიროთეოლოგია	II	5	14	12	4	2	93	125
9.	ქრისტიანული ეთიკა	II	5	14	12	4	2	93	125
10.	ქრისტიანული ანთროპოლოგია	II	5	14	12	4	2	93	125
11.	ბიზანტიური ფილოსოფია	II	5	14	12	4	2	93	125
12.	სპეციურსი „ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტრადიცია“	II	5	14	12	4	2	93	125
13.	ახალი დროის ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველება	III	5	14	12	4	2	93	125
14.	სპეციურსი „იოანე პეტრიწის ფილოსოფია“	III	5	10	15	5	2	93	125
.	სამაგისტრო ნაშრომი	IV	30	-	-	-	5	745	750
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - სავალდებულოა 20 კრედიტის მოგროვება									

15.	კავკასიური ფილოსოფია	III	5	14	12	4	2	93	125
16.	პოლიტიკური თეოლოგია	III	5	14	12	4	2	93	125
17.	ქრისტიანული ფილოსოფია ინტერკულტურული აზროვნების კონტექსტში	III	5	14	12	4	2	93	125
18.	ქრისტიანული ფილოსოფიის ტექსტების თარგმანის სპეციფიკა ქართულ ენაზე	III	5	14	12	4	2	93	125
19.	ქრისტიანული ეგზისტენციალიზმი	III	5	14	12	4	2	93	125
20.	ომისა და მშვიდობის ფილოსოფია	III	5	14	12	4	2	93	125
	სულ		120						

ქრისტიანული ფსიქოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:

- ფსიქოლოგის მაგისტრი / Master of Psychology 0313

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- 120 (ECTS) კრედიტი, (1 კრედიტი = 25 საათს).

პროგრამის ხანგრძლივობა:

- 2 აკადემიური წელი (4 აკადემიური სემესტრი). ერთი აკადემიური სემესტრი მოიცავს 19 კვირას (აქედან: 15 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს და შუალედურ შეფასებებს, 4 კვირა - დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მომზადებასა და ჩაბარებას).

სწავლების ენა:

- ქართული

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტი ქრისტიანული ფსიქოლოგიის დარგში, რომელსაც ექნება თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების შესატყვისი კომპეტენციები თანამედროვე ადამიანის არსებული აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. მან უნდა შეძლოს მის მიერ ათვისებული როგორც დარგობრივი, ასევე ინტერდისციპლინარული ცოდნის სათანადოდ გამოყენება თანამედროვე სამყაროს აქტუალური პრობლემების ადეკვატური ანალიზისა და ეფექტური გადაჭრის პროცესში.
- მომზადდეს ფსიქოლოგიის მაგისტრი, რომელიც წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებას მოახდენს საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.
- მომზადდეს ფსიქოლოგიის მაგისტრი, რომელიც ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ქრისტიანული ფსიქოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ავტორების, ეკლესიის მამათა მდიდარი ფსიქოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ; ასევე, ფსიქოლოგიური კონცეფციებისა და მოდელების ფართო სპექტრის შესახებ, რომლის გამოყენებასაც შეძლებს ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის პრაქტიკული კურს(ებ)ის ფარგლებში.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- 1.1. კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში (სულისა და სხეულის მიმართების პრობლემა, ცნობიერების მოდელები, ფსიქოლოგიური კონსულტირების სფერო, კონფლიქტების მენეჯმენტი და ა.შ.), რაც მას შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და სისტემური მეცნიერული ხედვის საფუძველზე ახდენს ადეკვატურ ორიენტაციას პრობლემების გადაჭრის პროცესში.
- 1.2. კურსდამთავრებულმა სიღრმისეულად და სისტემურად იცის დარგში შემუშავებული თეორიული და ემპირიულ-კვლევითი მეთოდები, ქრისტიანული ფსიქოლოგიის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები.

- 1.3. კურსდამთავრებულს, მის მიერ კრიტიკულად ათვისებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბება.

2. უნარი:

- 2.1. კურსდამთავრებულს შეუძლია: იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გამოყენებით; წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან; გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე, სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; კვალიფიციურად მოამზადოს დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; განსაზღვროს პიროვნებათა მრავალმხრივი ცხოვრებისული რისკების შეფასების პარამეტრები, მოახდინოს მათი იდენტიფიკაცია, სისტემატიზაცია და დასახოს არსებული პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზები.
- 2.2. კურსდამთავრებულს შეუძლია დარგობრივი სამეცნიერო ტექსტების შექმნა და თანამედროვე ფორმალური სტანდარტების მიხედვით, მისი აკადემიური სახით არგუმენტირება; ალტერნატიული პოზიციების შეფასება-განხილვა კორექტული მეცნიერული სახით; აკადემიური მუშაობის პროცესში ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება; აკადემიურ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით - მშობლიურ და უცხოურ ენებზე - კომუნიკაციის საჭირო უნარის საფუძველზე, წარმოადგინოს პროფესიული აუდიტორიის წინაშე საკუთარი მოსაზრებები და არგუმენტები თანამედროვე მეცნიერული დისკურსის შესატყვისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- 2.3. კურსდამთავრებული ახდენს ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში არსებული თეორიული პრობლემების თავისებურებების და სპეციფიკის იდენტიფიცირებას და გეგმავს მათი ეფექტური გადაჭრის/გადაწყვეტის გეგმებს/სტრატეგიებს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- 3.1. კურსდამთავრებულს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს რელიგიათა შორის არსებული დიალოგის პროდუქტიულად წარმართვის პროცესში, რადგან მას კარგად ექნება გათავისებული პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებანი, მედიაციისა და კონფლიქტების მენეჯმენტის ფუნდამენტური პრინციპები.
- 3.2. კურსდამთავრებულს შეუძლია ქრისტიანულ ფსიქოლოგიაში მართლმადიდებლური სწავლებისა და ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეაქტუალიზება და პოპულარიზება.
- 3.3. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და სწავლის უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ადეკვატურად შეაფასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება ქრისტიანული ფსიქოლოგიაში აზროვნების საფუძველმდებარე ღირებულებებისადმი და თვითონაც მიიღოს მონაწილეობა ქრისტიანული ღირებულებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრების საქმეში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ორ ფორმად: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი წილი. შუალედური შეფასების მეთოდებს (პრობლემებზე დაფუძნებული დისკუსია, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.), აგრეთვე, თავისი წილი აქვთ ამ ფორმის ფარგლებში.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი შეფასების ფორმა, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადგებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ სამაგისტრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში

სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 60 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);

ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას);

ბ.გ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები);

ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახაზები);

ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს);

ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).

ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:

ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;

ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;

ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.ვ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიეთითოს გვერდის ბოლოს სქოლიოების (Footnotes) სახით.

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა (საჭიროების შემთხვევაში - დანართი).

სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჰქონდება მუშაობის პრეზენტაცია. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ირჩევს სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა მაგისტრანტს შეუძლია მხოლოდ 60 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-3 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი

თვის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტების) დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში; სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ამზადებს დასკვნას დადგენილ სტანდარტებთან ნაშრომის შესაბამისობის შესახებ. 2 კვირის ვადაში.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმით აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კომისიის საბჭოს სხდომაზე.

სამაგისტრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

- ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 15 ქულა;
- ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი - 10 ქულა;
- დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 15 ქულა;
- ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.
- ვ) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება - 10 ქულა;
- ზ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;
- თ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
- ი) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ კომისიის საბჭოს მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და სამაგისტრო ნაშრომი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ კომისიის საბჭოს წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

პროგრამის სტრუქტურა

რიცხვი ნომერი	სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სემსტრი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა	
				საკონტაქტო საათები							
				ლექცია	სტუდენტის ჯული / პრაქტიკული	შუალედობი	პრაქტიკა	დასკვნითი ზომიერობა			
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 102 კრედიტი											
1.	ქრისტიანული ფსიქოლოგია	I	7	14	12	4	2	143	175		
2.	ნატურალიზმი და ქრისტიანული აზროვნება	I	5	14	12	4	2	93	125		
3.	მეცნიერული პროპედევტიკა და მეთოდიკა	I	5	14	12	4	2	93	125		
4.	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში I	I	7	14	12	4	2	143	175		
5.	განვითარების ფსიქოლოგია	I	6	14	12	4	2	118	150		
6.	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში II	II	7	14	12	4	2	143	150		
7.	ნეიროთეოლოგია	II	5	14	12	4	2	93	125		
8.	ორგანიზაციის ფსიქოლოგია	II	6	14	12	4	2	118	150		
9.	მედიაცია და კონფლიქტების მენეჯმენტი	II	6	14	12	4	2	118	150		
10.	ფსიქოლოგიური კონსულტირება	III	6	14	12	4	2	118	150		
11.	ფსიქოთერაპია და სოციალური კომპეტენცია	III	6	14	12	4	2	118	150		
12.	მონაცემთა დამუშავების მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	III	6	14	12	4	2	118	150		
	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა	IV	30	-	-	-	5	745	750		
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - სავალდებულოა 18 კრედიტის მოგროვება											
13.	რელიგიის ფსიქოლოგია	II	6	14	12	4	2	118	150		
14.	პიროვნების ფსიქოლოგია	II	6	14	12	4	2	118	150		
15.	შედარებითი ფსიქოლოგია	III	6	14	12	4	2	118	150		
16.	ჰუმანისტური ფსიქოლოგია	III	6	14	12	4	2	118	150		
17.	თანამედროვე ქრისტიანული ფსიქოლოგია	III	6	14	12	4	2	118	150		
	სულ		120								

სადოქტორო

პროგრამები

ქრისტიანული ფილოსოფია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:

- ფილოსოფიის დოქტორი / PhD 0223

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- სასწავლო კომპონენტის მოცულობა - 60 (ECTS) კრედიტი, (1 კრედიტი = 25 საათს).

პროგრამის ხანგრძლივობა:

- პროგრამის ხანგრძლივობა 3 აკადემიური წელი (6 აკადემიური სემესტრი). ერთი აკადემიური სემესტრი მოიცავს 19 კვირას.

სწავლების ენა:

- ქართული

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- ქრისტიანული ფილოსოფიის მეცნიერული შესწავლა, ანალიზი, ინტერპრეტაცია და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის კონტექსტში მისი სისტემური განვითარება.
- მკვლევარი-ფილოსოფოსების ახალი თაობის მომზადება, რომლებიც თანამედროვე მაღალი მეცნიერული სტანდარტების დონეზე შეძლებენ ქრისტიანული ფილოსოფიის აქამდე დაუმუშავებელი მიმართულებების, ავტორების, კონცეფციებისა და პრობლემების შესწავლას, ანალიზსა და ორიგინალურ მეცნიერულ ინტერპრეტაციას.
- ქართული მართლმადიდებლური ფილოსოფიური ღვთისმეტყველების შეუსწავლელი ავტორების, დოკუმენტებისა და ნაშრომების მეცნიერული გამოკვლევა, მასშტაბური გააზრება და პოპულარიზება.
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევების მომზადება, რომელთა შედეგების შემდგომი ინტეგრირება მოხდება თეოლოგიისა და ქრისტიანული ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამებში.
- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ქრისტიანული ფილოსოფიის საფუძვლიანი ინტეგრირება, მისი განვითარება მართლმადიდებლური მოძღვრებისა და ტრადიციის ჭრილში.
- ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ტრადიციის ახლებურად გააზრება და განვრცობა, რაც ხელს შეუწყობს ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური დარგის/მიმართულების შემდგომ განვითარებას მისი სისტემური განახლებისა და სრულყოფის გზით.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- 1.1. სისტემურად/კრიტიკულად გაიაზროს და გააცნობიეროს ქრისტიანული ფილოსოფიის ფუნდამენტური პრობლემები, რაც მას შესაძლებლობას მიცემს ახლებურად დაინახოს ქრისტიანული მეტაფიზიკის, ანთროპოლოგიისა და ეთიკის მდიდარი ტრადიცია.
- 1.2. თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, სისტემურად გააანალიზოს ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ისტორია დასაწყისიდან დღევანდელობამდე, მისი საფუძველმდებარე ცნებები და პარადიგმები, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გააფართოვოს და

გაამდიდროს ამ დარგში არსებული თეორიული ცოდნა ინოვაციური მიდგომების გზით.

- 1.3. ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ისტორიისა და ტრადიციის ორიგინალური შესწავლისა და ათვისების მეშვეობით, ამ დარგის ინოვაციური და საფუძვლიანი კონტექსტუალიზაცია თანამედროვე ფილოსოფიისა და მეცნიერების ინტერდისციპლინურ და მულტიდისციპლინურ ლანდშაფტში.

2. უნარი:

- 2.5. ქრისტიანული ფილოსოფიის დარგში ახალ კვლევათა დამოუკიდებლად დაგეგმვა, ახალი კვლევითი პრობლემატიკის განსახილველად კვლევის ახალი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება. საკუთარი კვლევითი მიზნებისა და ამოცანების დასაძლევად იმგვარი კვლევითი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ორიგინალური იქნება ინოვაციური სამეცნიერო შედეგების ასახვაზე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად პუბლიკაციებში.
- 2.6. ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში ისეთი საბის კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა, რომელიც თანამედროვე სამყაროში ქრისტიანული მრწამსისა და ღირებულებების უკეთ გაგებას შეუწყობს ხელს. ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ისტორიის განმავლობაში არსებული განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეებისა და თეორიების, მეთოდებისა და მიდგომების კომპლექსურ კრიტიკული ანალიზი, მათი სათანადო შეფასება და მეცნიერული სინთეზი თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემათა სპექტრის სწორი და ეფექტური გადაჭრის გზების ძიების პროცესში.
- 2.7. ქრისტიანული ფილოსოფიის ადგილისა და როლის განსაზღვრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტრანსფორმაციის პროცესში, ქრისტიანული რელიგიის კონტექსტში მისი ახლებური შეფასება. ქრისტიანული ფილოსოფიის კლასიკური პრობლემების შესახებ ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული დასკვნების გაკეთება და მისი დაკავშირება ამ დარგის აქტუალურ პრობლემებთან და პერსპექტივებთან. ქრისტიანული ფილოსოფიის დარგში მიმდინარე პროცესების ადეკვატური და კრიტიკული გაცნობიერების საფუძველზე, საკუთარი კვლევითი საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რაც ამ დარგში მეცნიერული ცოდნის ხარისხის ზრდას, სასწავლო-კვლევითი პროგრამების სრულყოფას, განვითარებას, ახალი კვლევითი პოტენციალისა და რესურსების ზრდასა და სრულყოფას შეუწყობს ხელს.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- 3.1. ქრისტიანული ფილოსოფიის აქტუალური მეთოდებისა და მოდელების შერჩევა, მათი ინოვაციური გამოყენება სამეცნიერო, აკადემიური და სხვ. საქმიანობის განხორციელებისთვის პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით.
- 3.2. ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში მიმდინარე უახლესი დარგობრივი ტენდენციის გამოკვეთა, ახალი მეცნიერული პერსპექტივების დასახვა ავტონომიური კვლევების განხორციელების გზითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევის შედეგების სტრუქტურირებული სახით წარმოდგენა და ხელმისაწვდომობა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო/საზოგადოებრივი წრეების წინაშე.
- 3.3. სწავლა-სწავლების შინაარსისა და მეთოდოლოგიის იმგვარად ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს კვლევა-ძიების შედეგების კრიტიკულ და მეცნიერულად ობიექტურ შეფასებას დარგობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ორ ფორმად: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი წილი. შუალედური შეფასების მეთოდებს (პრობლემებზე დაფუძნებული დისკუსია, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.), აგრეთვე, თავისი წილი აქვთ ამ ფორმის ფარგლებში.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის (წერითი, ზეპირი) ფორმა, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგემილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რომელიც დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგნი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმით სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

სადისერტაციო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 15 ქულა;

ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;

გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი - 10 ქულა;

დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა - 15 ქულა;

ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

ვ) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება - 10 ქულა;

ზ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;

თ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;

ი) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება სადისერტაციო საბჭოს მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მემკვებით. სადისერტაციო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

სადისერტაციო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი თვისა.

სადისერტაციო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მხოლოდ დასკვნითი შეფასების ფორმით შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა-ე“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.

„ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

„ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს ქრისტიანული აზროვნების საკვანძო საკითხებსა და ავტორებზე, ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარ ტრადიციაზე დაფუძნებული ფართო დიაპაზონის გამოკვლევა, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ღირებულება. დისერტაცია უნდა შეიცავდეს თეორიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს ქრისტიანული ფილოსოფიის ამა თუ იმ დარგის განვითარებაში (თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი). დისერტაცია უნდა დაიწეროს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - მაცნე (ავტორეფერატი) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, დისერტაციის სხვა ენაზე შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო ნაშრომის და სადისერტაციო მაცნეს მოცულობას, ფორმატს, გაფორმების წესს და სხვა მონაცემებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

პროგრამის სტრუქტურა

რიგითი ნომერი	სასწავლო/სამეცნიერო კურსები/მოდულები	სემსტრო	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება									
				საკონტაქტო საათები					სულ სასახლის რაოდენობა				
				ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	ზუალდური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა					
სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი													
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი													
1.	ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე პრობლემები	I	10	28	39	6	3	174	250				
2.	სამეცნიერო კვლევის მეთოდები	I	10	28	39	6	3	174	250				
3.	ქრისტიანული ფილოსოფია	II	10	5	39	6	3	197	250				
4.	ქართული ფილოსოფია	II	10	5	39	6	3	197	250				
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - სავალდებულოა 20 კრედიტის მოგროვება													
5.	ქრისტიანობა და უნივერსიტეტის იდეა	I	10	10	32	6	3	199	250				
6.	საკრალური ადგილებისა და სივრცეების ფილოსოფია	II	10	10	33	6	3	198	250				
7.	პროფესორის ასისტენტობა	I / II	10	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	250				
8.	სასწავლო კურსი მეცნიერ- ხელმძღვანელის მითითებით	I / II	10	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	250				
9.	უცხოეთის უნივერსიტეტში მოსმენილი კურსი	I / II	10	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	250				
სამეცნიერო კომპონენტი - 120 კრედიტი									3000				
10.	კოლოკვიუმი I	III		ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ					
11.	სამეცნიერო სტატია I	III		ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ					
12.	კოლოკვიუმი II	IV		ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ					
13.	სამეცნიერო სტატია II	IV		ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ					
14.	სამეცნიერო სტატია III	V		ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ					
15.	დისერტაციის მომზადება და დაცვა	III-VI		ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ	ი/გ					
	სულ		180						4500				